სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის
გენერალური დირექტორის

ბრძანება №77

ქ. თბილისი 14 ივნისი 2018 წ.

„აზიური ფაროსანას წინააღმდეგ ბრძოლის 2018 წლის სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში სამეცნიერო - კვლევითი საგრანტო კონკურსის გამოცხადების შესახებ

„აზიური ფაროსანას წინააღმდეგ ბრძოლის 2018 წლის სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების განხორციელების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 3 მაისის N970 განკარგულების და ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის №62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე და სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო გრანტებისა და პროგრამების უზრუნველყოფის, შეფასებისა და ანალიზის დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტის სამსახურებრივი ბარათის (N711162, 13.06.2018) შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. გამოცხადდეს „აზიური ფაროსანას წინააღმდეგ ბრძოლის 2018 წლის სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში სამეცნიერო - კვლევითი საგრანტო კონკურსი (შემდგომში - კონკურსი).
2. დამტკიცდეს კონკურსის პროგრამა და პირობები ამ ბრძანების დანართი N1-ის შესაბამისად;
3. დამტკიცდეს საკონკურსო პროექტის თავფურცლის ფორმა ამ ბრძანების დანართი N2-ის შესაბამისად;
4. დამტკიცდეს კონკურსზე წარსადგენი საპროექტო წინადადების ფორმა ამ ბრძანების დანართი N3-ის შესაბამისად;
5. დამტკიცდეს ძირითადი პერსონალის პროფესიული ბიოგრაფიის - CV-ფორმა ამ ბრძანების დანართი N4-ის შესაბამისად;
6. დამტკიცდეს საკონკურსო პროექტის განხორციელების გეგმა-გრაფიკის ფორმა ამ ბრძანების დანართი N5-ის შესაბამისად;

7. დამტკიცდეს საკონკურსო პროექტის ბიუჯეტის ფორმა ამ ბრძანების დანართი N6-ის შესაბამისად;

8. დამტკიცდეს საკონკურსო პროექტში კონსულტანტის სტატუსით ჩართული მოქალაქის თანხმობის წერილის - Letter of commitment -ფორმა ამ ბრძანების დანართი N7-ის შესაბამისად;

9. დამტკიცდეს თანადაფინანსების შესახებ ცნობის ფორმა ამ ბრძანების დანართი N8-ის შესაბამისად;

10. დამტკიცდეს „განცხდება კონკუსში მონაწილეობის შესახებ" ფორმა ამ ბრძანების დანართი N9-ის შესაბამისად;

11. დამტკიცდეს ბიუჯეტის კლასიფიკატორი ამ ბრძანების დანართი N10-ის შესაბამიად;

12. დაევალოს სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის (შემდგომში - ფონდი) საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების ფონდის ვებგვერდზე განთავსება;

13. ბრძანება ძალაშია ფონდის ვებგვერდზე გამოქვეყნებისთანავე;

14. . ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6).

მანანა მიქაბერიძე